

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის
ოქმი №3

ქ. აბაშა, 2018 წლის 28 მარტი

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა
(ქ. აბაშა, უ. კაჭარავას №1).

სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა : აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-
საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე გოდერძი კუპრავა.

სხდომას ესწრებოდნენ : ელვარდი ნოდია, ზურაბ შუბლაძე, კოკი ჩაჩავა, ზაზა გაბელაია,
შოთა ჭანტურაია.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ბენია პიტავა, მერაბ მელია.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ
კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე

დღის წესრიგი

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის N56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: გ. კუპრავა

2. აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს: გ. კუპრავა

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს:

1. „აბაშის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის N56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: გ. კუპრავა

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „აბაშის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის N56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ზ. გაბელაიამ, ზ. შუბლაძემ, შ. ჭანტურაიამ

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -6; წინააღმდეგი -0) აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ

დაადგინა :

დადგენილების პროექტი - „აბაშის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის N56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და აღნიშნული საკითხი განსახილველად შეიტანოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს:

2. „აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“.

მომხს: გ. კუპრავა

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“.

აზრი გამოთქვას: ე. ნოდიაძე, კ. ჩაჩავაძე, ზ. შუბლაძე.

კომისიის წევრებმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -6; წინააღმდეგი -0)

დაადგინა :

აბაშის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ გადაწყვიტა დადგენილების პროექტი „აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და აღნიშნული საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა 15:30 საათზე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე:

გ. კუპრავა